ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№96

თბილისი **12.10.2011წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის ჯამბულ ბაკურაძის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „ორიენტ ლოჯიკი"** მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის საიათბირო ორგანოს – სათათბირო საბჭოს 2011 წლის 6 ოქტომბრის №16 ოქმის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის სარგებლობაში არსებული ქსელური მოწყობილობების – Cisco ASA 5500 CSC-SSM-10-ის ლიცენზიის განახლებისა და ASA5510-CSC10-K9 ASA 5510 Appl w/CSC10-ის პროგრამული უზრუნველყოფის განახლების მომსახურებისათვის საჭირო SMARTNET 8X5XNBD ASA 5510 Appl w/CSC10, SW, 50 Usr AV/Sp-ისა და ASA 5500 CSC-SSM-10 250-User w/ Plus Lic. Renewal (1-year. (L-ASACSC10-250UP1Y)) მიწოდება (CPV - 32425000) – შემდგომში საქონელი.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს 1 725.55 (ერთი ათას შვიდას ოცდახუთი აშშ დოლარი და ორმოცდათხუთმეტი აშშ ცენტი) დოლარის ექვივალენტს ლარში, გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 2 036.15 (ორი ათას ოცდათექვსმეტი აშშ დოლარი და თხუთმეტი აშშ ცენტი) დოლარის ექვივალენტს ლარში, გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ანგარიშ-ფაქტურისა და საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 14 დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონელი/მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის/მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ამ ხელშეკრულების ძალით მიწოდებული საქონლის შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტაციული დეპარტამენტის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება – 12.10.11წ-09.11.11წ პერიოდის განმავლობაში;

დ) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას შესაბამის ადგილზე ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტაციული დეპარტამენტის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

8.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

9.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, საიდენტიფიკაციო კოდი 204 564 845, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200 122 900, კოდი TRESGE22.

ხელმოწერა _____ **ჯამბულ ბაკურაძე**

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „ორიენტ ლოჯიკი", მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №91ა. სს „პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიშის №GE 67 PC 0243 6001 0000 9528, საიდ. კოდი 202 052 054.

ხელმოწერა _____ **ვაჟა ნასყიდაშვილი**

ბ.ა.

Orient Logic

Tel: 995 32 330616
Fax: 995 32 527170

Visit us at: www.orient-logic.com or www.orient-logic.ge; 8, Beliashvili str., Tbilisi, Georgia

To: Ministry Of Regional Development and Infrastructure
Attn: Mr Zurab Arevadze
E-mail: arevadze@mail.mrdi.gov.ge
Tel:
Fax:
From: Orient Logic
Subject: Cisco Equipment
Pages: 1
Date: 11/10/2011

Proforma Invoice N-111011/P2

No.	P/N	Short Description	Unit Price USD	Q-ty	Price USD	Delivery
1	CON-SNT-AS1C10K9	SMARTNET 8X5XNBD ASA 5510 Appl w/ CSC10,SW,50 Usr AV/Sp	$746.15	1	$746.15	4-5 Weeks
2	L-ASACSC10-250UP1Y	ASA 5500 CSC-SSM-10 250-User w/ Plus Lic. Renewal (1-year)	$1,290.00	1	$1,290.00	4-5 Weeks

Total, USD, VAT Included: **$2,036.15**

Please send your payment in GEL (Georgian Lari) to:

Beneficiary's Bank : სს თი-ბი-სი ბანკი
Bank's code : 220101830

Beneficiary : "Orient Logic" LTD
Beneficiary's Acc No : GE54TB0600000010467147

Signature

Stamp